

ეთნიკური კონფლიქტები და მეზობელი ქვეყნის ჩარევა - Case Study აფხაზეთი, შრი-ლანკა

თამარ ყანჩაველი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის
მეცნიერებაში(საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის
კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

მიმართულება - პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები,
ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის
მეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თ. ყანჩაველი

03.2015

აბსტრაქტი

კვლევა ეხება ეთნიკურ კონფლიქტებში მეზობელი ქვეყნების ჩარევას, ანუ როგორ ერევა მესამე ძალა საკუთარი ქვეყნის საშინაო და საგარეო ინტერესების წარმატებით განხორციელების მიზნით, მეზობელი სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ეთნოკონფლიქტში. ნაშრომში განხილულია შერჩეული ორი ქვეყნის - საქართველოსა და შრი-ლანკის შემთხვევა; ამ ქვეყნებში არსებული ეთნოკონფლიქტების წარმოშობის მიზეზები და განვითარება. ორივე შემთხვევაში დაძაბულობა მხარეებს შორის გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში. მეზობელი ქვეყნები, რუსეთი და ინდოეთი, ჩაერთნენ კონფლიქტში, როგორც მომრიგებელი და მშვიდობისმყოფელი მხარეები.

საქართველოს შემთხვევაში რუსეთის ჩართულობა „მშვიდობისმყოფლის“ სტატუსით პერიოდულად ამძაფრებდა კიდევ ამ დაპირისპირებას. არსებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე შეიძლება, ითქვას, რომ საქართველოს ჩრდილოეთ მეზობლისათვის „გაყინული“ და დროში გაწელილი ეთნოკონფლიქტი მომგებიანი იყო. რუსეთს სურდა ეთნიკური დაპირისპირების გამოყენება ეფექტური ზემოქმედების ინსტრუმენტად მეზობელი ქვეყნის გავლენის სფეროში მოსაქცევად.

ინდოეთის შემთხვევაში კი კონფლიქტში ჩართულობის მიზანი არ ყოფილა მეზობელი კუნძულოვანი სახელმწიფოს ტერიტორიული ექსპანსია. ეთნიკურად მონათესავე თამილების „დასახმარებლად“ შრი-ლანკაში შესული მეზობელი სახელმწიფო ითვალისწინებს საერთაშორისო საზოგადოების აზრს და მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობის შესაბამისად ტოვებს კონფლიქტის ტერიტორიას, ან უერთებს თავის ტერიტორიას. ნაშრომი ცდილობს, აჩვენოს, რომ მესამე ძალის ჩართულობა შიდა სახელმწიფოებრივ კონფლიქტში განპირობებულია სწორედ ინტერვენტი სახელმწიფოს შიდა და გარე სარგებელის მიღებისათვის და არა „მომმე“ ეთნოსის გადარჩენისათვის. ამ მიზნით ჩატარებული კვლევა აჩვენებს ზემოთ აღნიშნული ორი ეთნოკონფლიქტისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების შედარებას.

Abstract

The following research summarizes the involvement of the neighboring countries into the ethnic conflicts, to specify the issue - how the third part incorporates itself in the ethnic conflicts in order to implement successfully its internal and foreign interests.

The present research analyses two case studies of Georgia and Sri Lanka. It elaborates the reasons initiating ethnic violence that led to the armed conflicts. In both cases, the tension between two parties was escalated into armed conflict, where the neighboring powers (Russia in case of Georgia and India in case of Sri Lanka) have been involved in the conflict as a peacekeeper parties.

In case of Georgia, the involvement of Russia as a peacekeeper, time to time increased the tension. There is a consideration that for the neighboring country the “frozen” ethno conflict was beneficial. Therefore the state aimed to use it as a leverage of persuasion to make adjacent country be part of its sphere of influence.

In case of India the aim of conflict involvement was not the territorial expansion of a neighbouring country. In order to support the kin ethnical group Tamil, the involved neighbouring country (India) takes into account the reaction of the International Community and follows the development of the conflict; consequently, India makes decisions - to leave the conflict region or unite it with its own territory.

The following research claims, that the involvement of the third party intervention into the intrastate conflicts is stipulated by emerging its internal and foreign interests and not for saving the so called kin ethnic group. The work shows the characterised similarities and differences demonstrated during continuation of these ethnic conflicts.